ეთიკის კომისიის
ზეპირი
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.07.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 019/14
შეკითხვა:
როგორია ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოების ვადები?
ანალიზი:
"ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-13 მუხლი:
1. საპროცესო კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის ან მიმართვის მიღებიდან 1 თვის ვადაში.
2. განხილვის კოლეგიამ დისციპლინურ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 3 თვის ვადაში.
"ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი:
დისციპლინურ კოლეგიას უფლება აქვს შეაჩეროს დისციპლინური წარმოება იმ შემთხვევაში, თუ:
ა) დისციპლინური საქმის შესწავლის პერიოდში დისციპლინური კოლეგიისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური სირთულეები (ადვოკატისავადმყოფობა, მტკიცებულებების შეგროვებისთვის საჭირო დრო, სხვ.), რის გამოც შეუძლებელია დისციპლინური წარმოების გაგრძელება;
ბ) დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით ადვოკატის ქმედებაში აშკარაა დანაშაულის ნიშნების არსებობა. ასეთ შემთხვევაში დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმის მასალები ეგზავნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს;
გ) ამავე ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომელის შედეგებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებაზე.
ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში დიციპლინური წარმოება ორი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე გადაწყვეტილებას იღებს საპროცესო კოლეგია, რომელიც განსაზღვრავს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის საკითხს. აღნიშნული ეტაპისათვის გათვალისწინებულია საჩივრის მიღებიდან ერთი თვის ვადა.

ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის გადაწყვეტილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა განხილვის კოლეგიას, რომელიც მსჯელობის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის შესახებ. ამ ეტაპისათვის, დებულებით, გათვალისწინებულია განხილვის კოლეგიისათვის საქმის გადაცემიდან სამი თვის ვადა.
დისციპლინურ კოლეგიას, ასევე, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება შესაბამისი ვადით ორივე ეტაპზე, დებულების 21-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, წარმოშობილი ობიექტური სირთულის, დანაშაულის ნიშნების არსებობისა და ეთიკის კომისიის წარმოებაში არსებული, შედეგობრივად დაკავშირებული საქმის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა:
ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებაში, დისციპლინური დევნის აღძვრის საკითხის განხილვისას განსაზღვრულია ერთთვიანი ვადა. დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისათვის - საქმის წარმოების მეორე ეტაპზე, განსაზღვრულია სამთვიანი ვადა. ორივე ეტაპზე, ობიექტური სირთულიდან გამომდინარე, შესაძლოა შეჩერდეს საქმისწარმოება გონივრული ვადით.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.